სოციონორმატიული კულტურა, როგორც აღზრდის პარადიგმა ტრადიციულ საზოგადოებაში (აჭარის მაგალითზე)

თამილა ლომთათიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Tamila.lomtatidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-6163-5876
ნანული ნოღაიდელი
ფილოლოგიის მაგისტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Nanuli.noghaideli@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0006-7688-4844

აბსტრაქტი. პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციონორმატიული კულტურა, რომელიც აერთიანებს თაობების მიერ შემუშავებულ სოციალურ ჩვევებს, ეტიკეტს, ქცევის მრავალფეროვან ფორმებს — წეს-ჩვეულებებიდან დაწყებული, ხალხური სამართლის ნორმებით დასრულებული. იგი, როგორც საზოგადოების „კოლექტიური მორალი“, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ინდივიდის ჩამოყალიბებაზე და გვევლინება აღზრდის ერთგვარ პარადიგმად.

პიროვნების ფორმირება მიმდინარეობს კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში. თითოეულ საზოგადოებას გააჩნია საკუთარი სოციოკულტურული ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ის ახდენს ახალი თაობის სოციალიზაციას. აჭარაში აღზრდის პროცესში აქტიურად არის ჩართული ისეთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, როგორიცაა ოჯახი და სოციუმი (გვარი, სოფელი, თემი).

აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სოციოკულტურული ნორმები, მათ შორის: ადათი (ხალხური სამართალი), ხალხური ეთიკა და ტრადიციები. ეს ნორმები წარმოადგენს ტრადიციული საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ქცევის წესებსა და ღირებულებით სისტემას, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდის ზნეობრივ და სოციალურ ორიენტაციას.

ტრადიციული ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია აღზრდის ავტორიტარული სტილი, მორჩილებაზე ორიენტაცია, თაობათაშორისი და ოჯახური კავშირების სიმტკიცე. ამასთანავე, აჭარის ეთნოგრაფიული ყოფა ავლენს შედარებით მოქნილ და გარემოსთან ადაპტირებულ აღმზრდელობით პრაქტიკებს, რომლებიც, კონტროლის პარალელურად, უზრუნველყოფს მოზარდის თანდათანობით, უმტკივნეულო ინტეგრაციას სოციალურ ცხოვრებაში და მის ჩამოყალიბებას საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების მატარებლად.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, სოციოკულტურული ნორმები, ოჯახი, სოციუმი, პიროვნების ფორმირება

***

შესავალი. აღზრდის პროცესი ყოველთვის იდგა კაცობრიობის ყურადღების ცენტრში, რადგან იგი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და თაობათა შორის გადაცემის აუცილებელ

წინაპირობას წარმოადგენს. აღზრდისადმი ინტერესი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა, თუმცა განსხვავებულია მისადმი დამოკიდებულება ტრადიციულ და ინდუსტრიულ საზოგადოებებში.

ტრადიციული საზოგადოებები ორიენტირებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესის შენარჩუნებაზე. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ გზად განიხილება ისეთი პიროვნების ფორმირება, რომელიც იზიარებს საზოგადოების ნორმებს, ღირებულებებსა და იდეალებს და მზად არის შესაბამისი სოციალური როლების შესასრულებლად.

სოციუმი უზრუნველყოფს ინდივიდის სრულფასოვან ინტეგრაციას კულტურული ღირებულებების, ქცევის ნორმებისა და სოციალური კოდების თაობათაშორისი გადაცემის გზით. ამგვარ საზოგადოებებში აღნიშნული ღირებულებები ხშირად საკრალურ მნიშვნელობას იძენს, მკაცრად არის ფორმალიზებული და ექვემდებარება სოციალურ კონტროლს (Camilleri, C., Malewska-Peyre H., 1997, გვ. 45).

პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციონორმატიული კულტურა, რომელიც ასახავს საზოგადოების „კოლექტიურ მორალს“ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდი თაობის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, აღზრდა უნდა განვიხილოთ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში, რადგან ინდივიდის განვითარება კონკრეტულ გარემოში მიმდინარეობს და ბავშვი ასახავს იმ კულტურას, რომელშიც იზრდება (ვიგოტსკი, 2022).

სოციონორმატიული სისტემა მოიცავს თაობების მიერ შემუშავებულ სოციალურ ჩვევებს, ეტიკეტს, ადამიანის ქმედებების ფართო სპექტრს, წეს-ჩვეულებებიდან დაწყებული, სამართლიანობის შესახებ შეხედულებებით დამთავრებული. არსებითად, სოციალურ-კულტურული ნორმები არის ქცევის სტანდარტები, რომლებიც ფართოდაა ინტეგრირებული სოციუმის ყოველდღიურობაში და ამ საზოგადოებისთვის მიზანშეწონილად ითვლება. სოციალურ-კულტურული ნორმები, გარკვეულწილად, არის სოციალურ ჯგუფში ქცევის შესახებ არსებული კოლექტიური მოლოდინები, რომლებიც გამყარებულია საერთო ღირებულებებით, რწმენებით და ხშირად, სამყაროს შესახებ გამოუთქმელი ვარაუდებით. ისინი არ წარმოადგენენ უბრალოდ საერთო ქცევის აღწერით სტატისტიკას, არამედ პრესკრიპტიციულ მითითებებს, რომლებსაც აქვთ ნორმატიული წონა, რაც გავლენას ახდენს შესაბამისობის, მორალის და თუნდაც საღი აზრის შესახებ შეფასებებზე. სოციალურ-კულტურული ნორმები წარმოადგენენ საზოგადოებაში ან ჯგუფში ქცევის იმპლიციტურ წესებს ან სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა ითვლება „ნორმალურად“, შესაფერისად ან სასურველად. ამასთან, სოციალური ნორმები, როგორც წესი, ორიენტირებულია ჯგუფში მოსალოდნელ ქცევაზე, ხოლო კულტურული ნორმები უფრო ფართო, ღრმად ფესვგადგმული ღირებულებები, ტრადიციები და შეხედულებებია. ეს ნორმები, ძირითადად, დაუწერელი, მაგრამ სოციუმში ფართოდ მიღებულია და ისინი ემპირიულად, დაკვირვებისა და მიბაძვის გზით შეისწავლება და ხშირად უფრო მოქმედი და მეტი ზეგავლენის მქონეა პიროვნების ფორმირებაზე, ვიდრე ფორმალური ნორმები (კანონები, წესები...) (https://lifestyle.sustainability-directory.com/term/socio-cultural-norms/Nacademic, თ. გ.).

მეთოდოლოგია. აღზრდა ყველა საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის თაობათაშორის ტრანსლაციის აუცილებელი პირობაა და სხვადასხვა საზოგადოებაში მისი თავისებურებების შესწავლა სხვადასხვა მეცნიერებების ინტერესის საგანს წარმოადგენს. კვლევის საგანი მრავალასპექტიანია, ამიტომაც გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომები. საკითხი განხილულია კვლევების მნიშვნელოვანი კონცეფციების შუქზე. ამავე დროს, რადგან საკითხი შესწავლილია ერთი კულტურული სივრცის შიგნით (აჭარა), ეფუძნება როგორც ამ რეგიონის სოციოკულტურული მახასიათებლების შესახებ უკვე არსებულ მდიდარ სამეცნიერო ბაზას, ასევე, კონკრეტულ არეალში განხორციელებულ საველე კვლევების შედეგებსა და სხვადასხვა წლის საფონდო მასალას, ზეპირ ისტორიებს.

ამიტომაც კვლევისას გამოყენებულია საველე ეთნოგრაფიული კვლევა–ძიების (უბრალო და ჩართული დაკვირვება), ინტერვიუირების (ნახევრად სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ბიოგრაფიული და ფოკუსირებული ინტერვიუები) და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა. ნებისმიერ კულტურაში აღზრდას გააჩნია კონკრეტული ფორმები, მეთოდები და ინსტიტუციური საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდის სოციალიზაციას და ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ფორმირებას. მარგარეტ მიდის კლასიფიკაციის მიხედვით, ქართული ეთნოკულტურა მიეკუთვნება პოსტფიგურაციულ კულტურათა ტიპს, სადაც ცოდნისა და გამოცდილების ძირითადი წყარო წინა თაობებია და სოციალური პრაქტიკის რეპროდუქცია თაობათა უწყვეტობას ეფუძნება (Mead, 1963). ამგვარ კულტურულ მოდელში აღზრდა ხასიათდება ავტორიტარული ელემენტებით, მორჩილებაზე ორიენტაციითა და თაობათაშორისი კავშირების სიმტკიცით. ანუ ესაა კულტურული მოდელი, სადაც ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციას მთლიანად აკონტროლებს საზოგადოება (წულაძე, 2023). თუმცა, ემპირიული მასალა აჩვენებს, რომ აჭარის ეთნოგრაფიულ სივრცეში აღნიშნული მოდელი არ არის ერთგვაროვანი და იგი მოიცავს მოქნილ, გარემოსთან ადაპტირებულ პრაქტიკებსაც.

აჭარაში პიროვნების ფორმირების პროცესში ცენტრალურ როლს ასრულებს ორი ძირითადი სოციალური ინსტიტუტი — ოჯახი და სოციუმი (თემი, გვარი). ოჯახი წარმოადგენს პირველადი სოციალიზაციის სივრცეს, სადაც ინდივიდი ითვისებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ-კულტურულ ღირებულებებს. ამასთან, აღზრდის პროცესში მკაფიოდ იკვეთება სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია, რაც განპირობებულია ტრადიციული სოციალური როლების განაწილებით. ვაჟებისა და გოგონების სოციალიზაცია განსხვავებულ პრაქტიკებს ეფუძნება: ვაჟები ადრეული ასაკიდან ერთვებიან სამეურნეო საქმიანობაში და მზადდებიან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო გოგონები ორიენტირებულნი არიან საოჯახო საქმიანობასა და შინამეურნეობაზე. აღნიშნული დიფერენციაცია არა მხოლოდ შრომით განაწილებას, არამედ ღირებულებით სისტემასაც ასახავს, რომელიც განსაზღვრავს გენდერულ როლებს ტრადიციულ საზოგადოებაში.

აჭარაში პატარაობის ასაკში ბავშვის აღზრდა მთლიანად დედას ევალებოდა. ბავშვის ნაკლს უფრო დედას აბრალებდნენ. იგი იყო ვალდებული ყურადღება მიექცია ბავშვის აღზრდისათვის. შემდგომ პერიოდში განასხვავებდნენ ქალთა და ვაჟთა აღზრდის მეთოდებს. დაახლოებით 6 წლიდან ბიჭის აღზრდა და ცხოვრებისათვის მომზადება უფრო მამას ევალებოდა: „ბიჭი ბაღანა უფრო მამის ზედამხედველობის ქვეშ იყო. 6-7 წლიდან მამა ასწავლიდა ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას და ნადირობას, საქონლის მომწყემსვას, შეშის დაჩეხვას და სხვ.“ (ბსკიეა, საქმე N168). გოგო კი უფრო დედის, ბებიას და მამიდა-ბიცოლების გავლენით იზრდებოდა. პატარებს ხშირად სახლეულის უხუცესი წევრებისათვის განკუთვნილ საუფროსო ოთახშიც აწვენდნენ, მაგრამ ბავშვების ადგილი, ძირითადად, კერასთან, საქალებო ნაწილში, საბავშვო კუთხეში იყო. ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად თანდათან, ნელ-ნელა ხდებოდა ბავშვის გადანაცვლება საუფროსო ნაწილისაკენ. ბავშვები მონაწილეობდნენ დიდი ჯალაბის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შრომის დანაწილებისას, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით, „სახლის დიდი“ ბავშვებისთვის არჩევდა შესაბამის დატვირთვას, რთავდა მათ საოჯახო საქმეებში და ამით თავიდანვე უვითარებდნენ შრომით ჩვევებს. საოჯახო საკითხების, სამართლებრივი, სოციალურ–ქონებრივი თუ სამეურნეო პრობლემებს განხილვას მოზარდებიც ესწრებოდნენ. ასე თანდათანობით და მარტივად რთავდნენ ბავშვებს შიდასაოჯახო საქმეებში და უვითარებდნენ დამოუკიდებელი საქმიანობისა და ცხოვრებისათვის საჭირო უნარ–ჩვევებს.

სქესობრივი ნიშნით განსხვავდებოდა მოზარდების ინკორპორაცია სამეურნეო საქმიანობაში. ბიჭების ჩაბმას სამეურნეო საქმიანობაში მამა ხელმძღვანელობდა. ბიჭებს ბავშვობიდან აჩვევდნენ საქონლის მწყემსვას, რესპოდენტის გადმოცემით, „ჯერ თხებს და ცხვრებს ვანდობდით, მერე ხბორებს, ბოლოს საქონელს. ზაფხულში მთაზე ბავშვებიც მიგვყავდა. გვეხმარებოდენ საქონლის მომწყემსვაში. გვეხმარებოდნენ რძის პროდუქტების გასაღებაშიც" (ბსკიეა, საქმე N168).

მნიშვნელოვანია, რომ მოზარდთა ჩართვა სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში ეტაპობრივად და სიმბოლური რიტუალების თანხლებით ხდება, რაც ინდივიდის ახალ სოციალურ სტატუსზე გადასვლას აღნიშნავს. ამგვარი ინიციაციური პრაქტიკები უზრუნველყოფს მოზარდის ინტეგრაციას ზრდასრულთა სოციალურ სივრცეში და ამავე დროს ამყარებს კოლექტიურ იდენტობას. ბიჭები პატარაობიდან იღებდნენ მონაწილეობას თოხნაშიც. შესაფერისი ზომის თოხებს დააჭერინებდნენ და ამუშავებდნენ, მაგრამ მოზარდის ჩართვა სამიწათმოქმედო სამუშაოებში უფროსებთან ერთად ოფიციალურად ხდებოდა ნადის დროს. ვაჟი რომ 16-17 წლის გახდებოდა, „ნადში დაპატიჟებდნენ". ამას „მანიდში მიღებას" ეძახდნენ. ამის შემდეგ მოზარდი გადადიოდა ახალ საფეხურზე – იგი გვარის, თემის მამაკაცთა საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდებოდა (ნოღაიდელი, 2013). ვაჟები მომავლიანობის სიმბოლოდ იყვნენ აღქმული აჭარაში და შრომითი საქმიანობის დროს არაერთი სიმბოლური რიტუალი უკავშირდებოდა მათ. პირველი ხნულის გავლებისას ზოგან მოზადრი უძღვებოდა ხარს, მოსავლის აღებისას იწყებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. იგი მოსავალს უთავაზებდა უმცროსს, დედ-მამიანს – „მომავლიანიაო". ან კიდევ ყანის აღება ყველაზე უმცროსმა წევრმა უნდა დაამთავროს იმის ნიშნად, რომ მომავალში მანვე უნდა გააგრძელოს ეს საქმიანობა. როგორც ჩანს, უფროსის მიერ საქმიანობის დაწყება და უმცროსის მიერ მისი დამთავრება სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს ცხოვრების წრებრუნვის უწყვეტ ციკლს და ბიჭის, როგორც ოჯახის მომავლის, შთამომავლობის გამგრძელებლის ფუნქციას უნდა უკავშირდებოდეს. იგივე იდეა იკითხება პირველი ნაყოფის მოწყვეტის ჩვეულებაში. ყველა ახალშემოსული ხილის პირველი ნაყოფი მოზარდ ვაჟს უნდა მოეწყვიტა, რათა მსხმოიარობა მომავალშიც გაგრძელებულიყო (ლომთათიძე, 2014).

გოგონების საქმიანობაზე ოჯახის ქალები – ბებიები, დედა, ბიცოლა-მამიდები ზრუნავდნენ. გოგონები მონაწილეობდნენ რძის პროდუქტების გადამუშავებაში, ჭურჭლის დარეცხვაში, სახლისა და ეზო-კარის დასუფთავებაში. რესპოდენტი იგონებს: „13 წლიდან უფროსმა ბიცოლამ მითხრა, „ახლა შენც უნდა გეეჩვიო საქმესო". ამის შემდეგ მამიდებთან და ბიცოლებთან ერთად ვშრომობდი. დავყავდით ხილის საკრეფად. დედამ კეცის დადგმა მასწავლა. დასათესად მივყავდით" (ბსკიეა, საქმე N168). გოგონები ხშირად მემთევრადაც მიყავდათ. 5-6 წლიდან ხდებოდა მისი ინკორპორაცია ქსოვის პროცესში (ჩელებაძე, 2005, გვ. 34). ინფორმატორის გადმოცემით: „ჩვენთან შრომის გარეშე არ იქნება. ვერ იარსებებ. 6-7 წლიდან ბავშვებს ვაჩვევდით ქსოვას, კერვას, ქარგვას. გოგოს ჯერ მარტივი ქარგვიდან ვაწყებინებდით, მერე ვაჩვევდით ორნამენტების კეთებას" (ბსკიეა, საქმე N168). ახალ საფეხურზე ასვლა მის სოციალურ სტატუსში, განსაკუთრებული წეს-ჩვეულებით აღინიშნებოდა: გოგონას თავზე დაადებდნენ თიხის კეცს ან ჭურჭლის ნატეხს და ზედ დააწვავდნენ მის მიერ მოქსოვილ პატარა ნაჭერს. ითვლებოდა, რომ ამის შემდეგ ის შეიყვარებდა რთვა-ქსოვას და სრულყოფილად დაეუფლებოდა ამ საქმეს (ნოღაიდელი, ფეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა (აჭარა), 2017, გვ. 65).

ოჯახთან ერთად, პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება სოციუმს. ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაში აღზრდა კოლექტიური პასუხისმგებლობის სფეროა. თემი აქტიურად მონაწილეობს როგორც ყოველდღიური ქცევის რეგულირებაში, ისე კრიტიკულ სოციალურ სიტუაციებში. ქართული ტრადიციული საზოგადოებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელი იყო კოლექტიური ცხოვრების წესი და პიროვნების ფორმირება არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთელი საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენდა. ქართული ეთნოსოციუმი ადამიანს განიხილავდა

არა მხოლოდ როგორც ცალკეულ ინდივიდს, არამედ როგორც საზოგადოების ნაწილს, რომელიც თავისთავში პიროვნულთან ერთად საზოგადოებრივ ინტერესებსაც უნდა აერთიანებდეს. ამიტომაც აღზრდის ყველა საფეხურზე სოციუმი აქტიურად ერეოდა პიროვნების ფორმირების პროცესში, ცდილობდა აღეზარდა ინდივიდში კორპორაციული ღირებულებები და ტრადიციები. აჭარაშიც ბავშვის აღზრდაზე ზრუნვა მისი დაბადებისთანავე იწყებოდა. ახალშობილისათვის „ჭიპის მიჭრის“ ცერემონიალიდან დაწყებული, ბავშვები საზოგადოების მზრუნველობის მთავარ ობიექტს წარმოადგენდნენ. ახალი სიცოცხლის გაჩენა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო არა მხოლოდ ოჯახისათვის, არამედ მთელი სოფლის, გვარის ან თემისათვის. ღვთისგან ნაჩუქარ სიცოცხლეს მთელი სოციუმი უფრთხილდებოდა, ამიტომაც აჭარის ეთნოკულტურაში მრავლად იყო როგორც ახალშობილის, ისე მეძუძური ქალის დასაცავად განკუთვნილი წეს-ჩვეულებები, ტაბუირების მთელი სისტემა, რომლის მიზანიც გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისაგან ქალისა და ბავშვის დაცვა და ჯანსაღი თაობის აღზრდა იყო. აჭარაში ორსული, მშობიარე და მეძუძური ქალი განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით იყო გარემოცული, რაც შემდეგ ბავშვზე გადადიოდა. მაგალითად, ორსულ ქალს არ წაიყვანდნენ გასვენებაში, არ ჩაცმევდნენ შავებს და თუ ეს მაინც აუცილებელი იყო, მუცელზე ფერად ქსოვილს შემოახვევდნენ, რომ „ბავშვი“ არ დათრგუნულიყო და რაიმე ნაკლი არ ქონოდა. საგვარეულო, სოფელი, თემი არასოდეს ტოვებდა ოჯახს მარტო ცხოვრებისეული წინააღმდეგობებისა და პრობლემების დაძლევისას. აჭარაში ქვრივი ქალი მარტო რომ არ დარჩენილიყო შვილების მომვლელად და აღმზრდელად, მას გვერდში უდგებოდა მთელი საგვარეულო, საკუთარიც და ქმრისეულიც, სამეზობლო. დაობლებული ბავშვების აღზრდის ტვირთს მთელი მიკროსოციუმი ინაწილებდა. თემი იყო ქვრივ–ობოლთა გამკითხავი.

აღზრდის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციოკულტურული ნორმების სისტემა, რომელიც მოიცავს:

- ხალხურ სამართალს (ადათი),
- ხალხურ ეთიკას,
- ტრადიციებსა და რიტუალებს.

აღზრდაში დიდ როლს თამაშობდა ისეთი სოციოკულტურული ნორმა, როგორიცაა ტრადიციული ანუ ხალხური სამართალი, რაც აჭარაში ადათის//ადეთის სახელით იყო ცნობილი. ადათი არაბული წარმამავლობის სიტყვაა (ᲐᲓᲐᲗᲘ) და ჩვეულებას, შარიათისაგან განსხვავებულ, დაუწერელ კანონ-სამართალს ნიშნავს ისლამის მიმდევარ ხალხებში. ეს იყო ტრადიციულ-ადათობრივი, მამა-პაპისაგან დამკვიდრებული, დაუწერელი, მაგრამ სავალდებულოდ მიღებული წესები, რომელზე დაყრდნობითაც საზოგადოებრივი ყოფის საკითხები წყდებოდა. ადათი, როგორც დაუწერელი სამართლებრივი სისტემა, არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამავდროულად ასრულებს სოციალიზაციის ფუნქციას — მოზარდს აცნობს სამართლებრივ წესრიგს და აყალიბებს პასუხისმგებლობის განცდას.

აჭარაში საადათო სასამართლო უძველესი დროიდან არსებობდა და იგი ტრადიციული ყოფის აუცილებელი და ორგანული ნაწილი იყო. გარდა იმისა, რომ ხალხური სამართალი მოზარდს აცნობდა საზოგადოებრივი ყოფისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს და აჩვევდა საერთ–სათემო სამართლებრივი ნორმების დაცვას, გარკვეულწილად, მისი პირად–ქონებრივი უფლებების დამცველად და გარანტად გვევლინებოდა. აჭარაში თუ ობლად დარჩენილი ბავშვის დედა გათხოვდებოდა, ბავშვი აუცილებლად მამის ოჯახში რჩებოდა და მას ღვიძლი პაპა ან ბიძა ზრდიდა. თუ ოჯახი უკვე გაყრილი იყო, სხვა ნათესავს - „შორ ბიძას“ ეკისრებოდა ეს მოვალეობა, მაგრამ არა საკუთარი სურვილით. გვარის ან თემის უხუცესი წევრები უხუცესები, როგორც აჭარაში ეძახდნენ წინაᲐ კაცები ან თავი კაცები იმსჯელებდნენ და ისე შეარჩევდნენ მეურვეს, რომელსაც აჭარაში ერქვა ვესი. მეურვის მოვალეობა საპატიო და საპასუხისმგებლო იყო, რადგან ვესს

ბავშვი თექვსმეტ-თვრამეტ წლამდე უნდა ეზარდა, მისი სახლ-კარისა და ქონებისათვის პატიოსნად მოევლო, ხოლო შემდეგ ზრდასრული ჭაბუკი დაექორწინებინა – „დაესახლებინა". ამ ხნის მანძილზე წინაი კაცები – სოფლის ავტორიტეტული პირები – თვალს ადევნებდნენ, რამდენად პატიოსნად ასრულებდა ის თავის მოვალეობას.

ობოლ ბავშვთან დაკავშირებით მოქმედებდა ხალხური სამართლის კიდევ ერთი ნორმა: დიდი სახლეულის მოწილე ძმა თუ საოჯახო ქონების გაყოფამდე გარდაიცვლებოდა და მემკვიდრედ მას ვაჟიშვილი დარჩებოდა, ბუნებრივია, ცხოვრებას იგი სახლეულში აგრძელებდა და ბიძების მეთვალყურეობითა და ზედამხედველობით იზრდებოდა, შესაბამისად, ბავშვი არც ნათესაური ჯგუფის უხუცესთა მიერ გამოყოფილ მეურვეს – ვესს არ საჭიროებდა. თუ დიდ სახლეულში უხუცესი პაპა ცოცხალი იყო და ჯალაბობას მართავდა, მაშინ, ბავშვის აღზრდა მას ეკისრებოდა. ასეთ ბავშვს „დედეჲეთიმს" ანუ „პაპის ობოლს" ეძახდნენ. წესის მიხედვით, დიდი სახლეულის გაყრის დროს ობოლ ვაჟს საძმო ქონებიდან მოწილე მამის მთლიანი სარგო ეკუთვნოდა. მაგრამ თუ შვილიშვილის მფარველი პაპა გარდაიცვლებოდა და სახლეულის გაყრას მისი გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა და მამის ძმები მისი წილის შემცირებას ან მისაკუთრებას განიზრახავდნენ, თემი არა მხოლოდ გაკიცხავდა მათ, არამედ შეკრებაზე დაიბარებდა და აიძულებდა დედეიეთიმისთვის მამისეული წილი სრულად მიეცათ (მგელაძე, 2004), (მგელაძე, 2021) (https://bsu.ge/text_files/ge_file_16130_1.pdf).

ერთ–ერთი უმთავრესი სოციალური ნორმა, რომლითაც ხდება აღზრდა არის ხალხური ეთიკა ანუ ტრადიციული საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ცხოვრების წესი – ზნე-ჩვეულებები, ქცევის ნორმები, რომლებიც ზნეობის, მორალის ხალხურ გააზრებას ეფუძნება. ხალხური ეთიკა განსაზღვრავს ქცევის მორალურ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სოციალური კონტროლის არაფორმალურ მექანიზმებს (გაკიცხვა, შერცხვენა, იზოლაცია). თუმცა, ამ ნორმების ინტერნალიზაცია ძირითადად ხდება არა იძულების, არამედ სოციალური ურთიერთობებისა და მოდელირების გზით - უფროსთა ქცევა მოზარდისთვის მაგალითს წარმოადგენს.

სოციუმი ცდილობს მიუახლოვოს თავისი წევრი იმ ზნეობრივ იდეალებს, რაც საზოგადოებას აქვს გამომუშავებული. ტრადიციულ საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში გამომუშავებული ქცევისა და მოქმედების სტერეოტიპიზებული ნორმების დაცვა ამ სოციალური ჯგუფის თითოეული წევრისთვის აუცილებელია და დამრღვევის მიმართ ტრადიციულ საზოგადოებაში ხორციელდება არაფორმალური სანქციები – გაკიცხვა, შერცხვენა, დაწყევლა, იზოლაცია და სხვ. მაგრამ ეს ფასეულობები მოზარდის ცხოვრებაში მკვიდრდება არა მხოლოდ დასჯით, შეგონებით, დარიგებით, ბრმა მორჩილებით, არამედ ყოველდღიური ურთიერთობებით, ყოფა-ცხოვრების ნორმატიული საფუძვლების გააზრებით, ქართველთა ზნეობრივი კოდექსით განსაზღვრული თვისებების: სამშობლოს სიყვარული, ოჯახის ერთგულება, უფროსის პატივისცემა, უმცროსებზე მზრუნველობა, ზრდილობა, მოძმის გატანა და ა.შ. უფროსების მიერ დაცვით და მაგალითის ჩვენებით. ამგვარად ხალხური ეთიკის განზომილებები და ღირებულებები თანდათან შემოდის ბავშვის ცხოვრებაში.

ტრადიციები და რიტუალები, თავის მხრივ, ასრულებს კულტურული მემკვიდრეობის ტრანსლაციის ფუნქციას. მათი მეშვეობით მოზარდი თანდათანობით ეუფლება საზოგადოების ღირებულებით სისტემას და ერთვება კოლექტიურ პრაქტიკებში. აღნიშნული პროცესები ქმნის ერთიან კულტურულ სივრცეს, სადაც ინდივიდი იძენს როგორც სოციალურ, ისე სიმბოლურ კაპიტალს. ამდენად, თავისი არსით, უკვე წარმოადგენს აღზრდის გარკვეულ პარადიგმას. ტრადიცია პიროვნების ფორმირებას ახორციელებდა თაობების განმავლობაში შენარჩუნებულ რიტუალებსა და წეს–ჩვეულებებში მომავალი თაობების ჩართვით, აქცევდა მათ მოზარდების ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად, ჩვევიდან გადაყავდა ცნობიერებაში. სოციუმში მათი თანდათან ინკორპორაცია ხდებოდა აჭარაში შემუშავებულ ბავშვთა ინიციაციის ანუ ერთი სტატუსიდან მეორეში, ერთი სოციალური მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლის წესებში.

აჭარაში უფროს-უმცროსობის ტრადიცია ბავშვობიდან ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ბავშვები რიდით ეპყრობოდნენ უფროსებს, განსაკუთრებით, სტუმარს. უფროსისათვის სიტყვის შებრუნება და მისი შეწინააღმდეგება არ შეიძლებოდა, მისი ნათქვამი და დავალება უსიტყვოდ უნდა შესრულებულიყო. ბავშვს უფლება არ ჰქონდა უფროსების ლაპარაკში ჩარეულიყო ან უფროსების საუბარი მოესმინა, ყური მიეგდო. გადმოცემით: «ბიჭი ბაღანა სოფლის თავშეყრის ადგილზე თუ გაჩერდებოდა, უფროსი მამაკაცების ლაპარაკს შორიდან უსმენდა, ახლოს ვერ მივიდოდა. ასე იქცეოდა ბიჭი 16-17 წლამდე, სანამ არ დაკაცდებოდა" (ბსკიეა, საქმე N168). ანუ 16-17 წელი ითვლებოდა ახალ სოციალურ საფეხურზე – მამაკაცობაზე გადასვლის ზღვრულ ეტაპად. სწორედ ამ პერიოდში, სოფლის მამაკაცების თავშეყრის ადგილზე მათი პირველი მიწვევით, ხდებოდა მათი ინიციაცია მოზრდილი მამაკაცების სამყაროში. გოგონების ცხოვრებაში ასაკობრივი ინიციაციის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ცვლილება ტანსაცმლის ფერებსა ან ფორმაში. ქალიშვილობაში შესვლისას ახლებურად ჩაცმა გოგონას ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის ერთ-ერთ მაჩვენებელია. ასაკობრივი თავისებურება გამოიხატებოდა გოგონების კაბების თარგსა და ფერებში. გოგონებს უფრო მხიარული ფერების (წითელი, ყვითელი, მწვანე, ალისფერი), უხვი ორნამენტით შემკულ კაბებს აცმევდნენ, 4-5 წლის გოგონას საყურეს შეაბამდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილება მის ჩაცმულობაში ფიზიოლოგიური მომწიფების შემდეგ ხდებოდა. ხალხური შეხედულებით, «გოგოს სიმწიფის" ასაკად 13 წელი იყო მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდიდან ხურავდნენ მას ჩადრს, მაშინ, როცა შარიათის თანახმად გოგონას 9 წლიდან უნდა ეტარებინა ჩადრი. ქორწინების ასაკად კი 17-20 წელი ითვლებოდა. პატარა ასაკიდან რთავდნენ მოზარდებს საერთო–სათემო საქმეებშიც, როგორიც იყო, მაგალითად, მეიდანოდას მომსახურება, სტუმრების მომსახურება საქორწინო ან სამგლოვიარო სუფრაზე, სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს სადილის წაღება, წყლის მიწოდება მომუშავეებისათვის და სხვა. ამ მეთოდებს გარკვეული ემოციური დატვირთვაც ქონდათ, რადგან ცხოვრების ყველა ეტაპზე ჩვეულებებში ჩართვა, ქცევის გარკვეული წესების დაცვა ამათუ იმ ჩვეულების შესრულებისას პიროვნული ღირსების დაფასებადაც აღიქმება მოზარდთა ცნობიერებაში. აჩვევს მათ ჩვევებისადმი ერთგულებას, არსებული წესების დაცვის აუცილებლობას. ამავე დროს წეს–ჩვეულებებში (სამეურნეო, საქორწინო, სამგლოვიარო, საოჯახო....) ერთობლივი მონაწილეობით მოზარდს უჩნდება ერთობის, დაცულობის, სოლიდარობის, მხარდაჭერის განცდა. მოზარდი რიტუალებში მონაწილეობით იღებს იმ არქეტიპულ შეხედულებებს რაც ამ საზოგადოებას ახასიათებს, საკრალურ ცოდნას სამყაროს მოწყობის შესახებ, რაც ამ საზოგადოებას აქვს და შეუმჩნევლად ითავისებს საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მენტალურ ნიშნულებს. რადგან რიტუალი არის რეგულარული, განმეორებადი, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გარკვეული სტერეოტიპების ქცევაში გადასვლას.

აღზრდის მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება თამაშიც, რომელიც ტრადიციულ საზოგადოებაში არა მხოლოდ გართობის, არამედ სწავლებისა და სოციალური როლების ათვისების საშუალებაა. თამაშის მეშვეობით ბავშვი ივითარებს კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ უნარებს და ემზადება ზრდასრულთა სამყაროში ინტეგრაციისათვის. თამაში ბავშვისთვის არის სწავლა, შრომა, საქმიანობის სერიოზული ფორმა, გარესამყაროს შემეცნების საშუალება. თამაში უდიდეს როლს ასრულებს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მისი სხეულის, სულის, ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების სრულყოფილ განვითარებაში. ტრადიციული საზოგადოება აღზრდას აწარმოებს ვერბალური საშუალებებითაც (ენა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი), რაც ქვეყნიერების, სამყაროს შეცნობის ერთ–ერთი გზაა. ზღაპარები, თქმულებები, გადმოცემები, ანდაზები, შეგონებები, რომლებშიც მოცემულია საზოგადოების ზნეობრივი კრედო, გამოცანები, კითხვა-პასუხიანი თამაშები. თამაშების სიტყვიერი მასალა სიუჟეტურ-როლური თამაში საფუძვლად ედება აზროვნების განსაკუთრებული თვისებების ფორმირებას, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს დადგეს სხვა

ადამიანების პოზიციაზე, გაითვალისწინოს მომავალი ქცევა და ამის საფუძველზე ააგოს საკუთარი ქცევა. ამდენად, ხალხური თამაში ახალი თაობის აღზრდისა და ცხოვრებისათვის მომზადების უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო ტრადიციულ საზოგადოებაში. თამაშები ამზადებდნენ ბავშვებს ნამდვილი ცხოვრებისათვის, უფროსების საზოგადოებაში შესასვლელად. პიროვნების ფორმირებაში, როგორც სოციოკულტურული ნორმა ჩართულია ხალხური ესთეტიკა ანუ ფიზიკური, გარემომცველი სამყაროს მოვლენები – საცხოვრებელი და მისი ესთეტიკური გარემო, გარემომცველი სამყარო და სამზარეულო, ტანსაცმელი და ინტერიერი და სხვ. ამგვარად, აჭარის ტრადიციულ კულტურაში აღზრდა წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალშრიან პროცესს, რომელიც ეფუძნება როგორც მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოს, ისე პრაქტიკულ, გამოცდილებაზე დაფუძნებულ მიდგომებს.

დასკვნა. აჭარის ეთნოგრაფიული მასალა ნათლად აჩვენებს, რომ აღზრდა ტრადიციულ საზოგადოებაში წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ სოციალურ ფუნქციას, რომლის მიზანია საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფა თაობათაშორისი კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის გზით.

პიროვნების ფორმირება ხორციელდება სოციონორმატიული კულტურის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს ქცევის ნორმებს, ღირებულებებსა და სოციალურ პრაქტიკებს. ამ სისტემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ოჯახი და სოციუმი, როგორც სოციალიზაციის ძირითადი აგენტები.

კვლევა ადასტურებს, რომ მიუხედავად ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ავტორიტარული და ნორმატიულად მკაცრი აღზრდის მოდელისა, აჭარის რეალური სოციალური პრაქტიკა გამოირჩევა შედარებითი მოქნილობით. აღზრდის პროცესში კონტროლი თანაარსებობს ზრუნვასთან, ხოლო ნორმების ინტერნალიზაცია ხდება თანდათანობით, უმეტესად არაძალადობრივი გზებით.

სოციოკულტურული ნორმები — ხალხური სამართალი, ეთიკა, ტრადიციები და რიტუალები — ფუნქციონირებს როგორც სოციალური რეგულაციისა და კულტურული ტრანსლაციის მექანიზმები. მათი მეშვეობით ინდივიდი არა მხოლოდ ეუფლება საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებს, არამედ იძენს კოლექტიურ იდენტობას და ხდება ამავე საზოგადოების ღირებულებითი სისტემის მატარებელი.

ამგვარად, სოციონორმატიული კულტურა წარმოადგენს პიროვნების ფორმირების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდის ინტეგრაციას სოციალურ გარემოში, ისე საზოგადოების კულტურული უწყვეტობის შენარჩუნებას.

ბიბლიოგრაფია

Camilleri, C., Malewska-Peyre H. (1997). Socialization and Identity Strategies. *Handbook of Cross-Cultural Psychology, 2* , 41–67.

https://lifestyle.sustainability-directory.com/term/socio-cultural-norms/Nacademic. (n.d.).

Mead. (1963). Socialization and Enculturation. *"Current Anthropology'', vol. 4* .

ვიგოტსკი. (2022). *აზროვნება და მეტყველება.* თბილისი.

ლომთათიძე. (2014). *ხალხური აგრარული წეს–ჩვეულებები აჭარაში.* ბათუმი.

მგელაძე. (2004). *აჭარული ნოგრო და გვარი.* ბათუმი.

მგელაძე. (2021). *ხალხური მმართველობისა და ჩვეულებითი სამართლის ისტორია განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.* ბათუმი.

ნ.ჩელებაძე. (2005). *ქალი და ოჯახი (XIXს. II ნახევრისა და XXს.დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.* თბილისი.

ნოღაიდელი. (2013). *აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები,* ბათუმი.

ნოღაიდელი. (2017). *ფეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა (აჭარა).* ბათუმი.

წულაძე. (2023). *კულტურის სოციოლოგია, როგორ გვანიჭებს საზრისს კულტურა.* თბილისი.